

ნ ა ც ი თ ნ ა ლ ი ს ტ ი



შაბათი, ოქტომბრის 9 1920 წ. ნაციონალური და აზარული პოლიტიკის ორგანო. № 9 ფსი 10 მან.

მისამართი:

რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქციის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

ხელის მოწერა:

წლის დამლევამდე — 750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

მიიღება ნაშუადღევს 2 საათამდის. ხტრიქონი პეტროპოლი
1 გვერდზე — 15 მან. 2-4 გვერდზე — 10 მან. სამკვლელოდ
განცხადება 30 სტრიქონი — 300 მან.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

მ ს ხ პ არ ი თ ს სა მ უ რ ა დ ლ ე ბ ო ლ დ

მატყელის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ სამსახურებს.

„მ წ ყ ე მ ს ს“

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურთოა წინასწარი სესხი მეცხვარეთა უფლები მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ახანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის ვარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმ.ნდა მოგებას ნაწილის და მამასადაც, ის მატყლის საბოლოოდ განაღდება ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებად მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

- 1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაკმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. 10 პროც.
- 2) მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხ ხანა ხევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.
- 3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ხანა ხევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

მომარაგების სამინისტრო.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლი მატყლის საწყობა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ მომხმარებელ კოოპერატივებს და სადაც ამნაირები არ არიან — იქ თევებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

შემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მოქარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორღერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივეები საქართველოს მთელი მთელი „ცეკავებისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა გაყიდვა პირმო პირთათვის სპრკალული

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

- ა) საშუალო ღირსების, ზაურეშხავი მატყლი 4.000 მან.
- ბ) სუფთა — ახალგორის და სხვა რაიონების 4.500 მან.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები ვალდებული არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს, თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზიარებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი თაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.

სახელმწიფო ღრავის თეატრი

(ყოფილი არტისტული — რუსთაველის პროსპექტი, № 21; ტელ. № 8-07)
დრამატული საზოგადოების გამგეობა
საქმნი 1920—1921 წლისათვის
დასის შემადგენლობა
(ანბანის რიგით)

მ ხ ა ხ ი ო მ ნ ი	რეჟისორები:	თანამშრომელნი
ფსილ აბაშიძე	დიმიტრი მეავია	ვლადიმერ ალექსი
ტასო აბაშიძე	ანდრია მურუსიძე	მესხიშვილი
ვლადიმერ ალექსი-შეხიშვილი	ბაბო როსტომი-შვილი	ალექსანდრე ანდრე-ტელი
ცაია ამირჯიბი	მინიელ სარაული	აკაკი ფალავა
ვერიკო ანჯაფარიძე	გიორგი-სარჩიელიძე	მინიელ ქორელი
ფსილ არაბიძე	პავლე ფრანგიშვილი	ალექსანდრე წუწუ-ნავა
სუზანა ბეჟანიშვილი	ვლადიმერ ფრანგიშვილი	მორიგი რეჟისორი: შაქრო ბერიშვილი
ბარბაღე გამრჯელი	ალექსანდრე ბერიშვილი	თანამშრომელი: ნინო გამრჯელი
ნინო გამრჯელი-თორელი	ანეტა ქიქოძე	მორიგი რეჟისორი: ნინო გამრჯელი-თორელი
მინიელ გელაშანი	ოლიმპიადა ლოლო-ბერიძე	ალექსანდრე გვამ-სიანი
შაქრო გამელაურს	ალექსანდრე ყალა-ბერიშვილი	ხცენარიშვილები: გიგო იორიანი-შვილი
გიორგი დავითა-შვილი	ანა შოთაძე	კუჭური პატარძე
ნინო დავითაშვილი	ნაკო ციციშვილი	მოკარნახენი
ელენე დონაური	ელენე ციციშვილი	სერგო ამბროსიძე
აკაკი ვასაძე	გერე ჯიქია	მგელარ ახოსანიანი
იუზა ხარდალი-შვილი	ვლისაბედ ჩერქეზი-შვილი	ანტონ სვანიძე
ალექსანდრე იმედა-შვილი	ანა ჩხეიძე	მხატვარი: ალექსანდრე ზალც-მანი
პლატონ კარიშვილი	ნინო ჩხეიძე	ვალერიან სიღამ-ერისთავი
არეთა ლოლუა	შალვა ხონელი	დეკორატორი: დიმიტრი ნალბა-შვილი
მინიელ ლორთქიფანიძე	სალომე ჭავჭავაძე	
ეფემია მესხი	მინიელ ქიაურელი	

უახლოესი რეპერტუარი

ორიგინალი	ნათარგმნი
„გუშინდელი“ — შალვა დადიანისა	„ადამოს მეფე“ — სოფოკლესი
„დასასანის ვასკირა“ და „ირინეს და“ — კლიაშვილისა	„სოფოკლესი“ — ტე
„ბუნდელი“ — დ. კლიაშვილისა	„სეკსპირისა“ — ამარამ მაგდა-
„ბერდა ზმინა“ და „გუგირგინა მეფე“ — ჰაიუსი, „სასტუმროს დი-	„დინელი“ — ჰაიუსი, „სასტუმროს დი-
ფენი“ — ალ. შანშიაშვილისა, „რაცასხლისა“ — გოლდონისა, „ქეპო-	„სტაკმანი“ — იბნენისა „სდგასთან“ —
განასავს ველარ ნახავ“ — ავქსენტი ცა-	„სტაკმანი“ — იბნენისა „სდგასთან“ —
გარლისა, „მსხვერპლი“ — ი გედევ-	ენგელისა, „სიცრუე“ — ვინჩენკოსი
ნიშვილისა.	

ნაციონალური პარტიის კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ღვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

- ### დღიური წესრიგი:
- I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებაში.
 - II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
 - III. სამაზრე მოხსენებანი (დელეგატებისა).
 - IV. საერთო და საპარლამენტო არჩევნების საშუალება.
 - V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
 - VI. მამდინარე საკითხები.
- კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100
- კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელთა წილი უნდა იქნება პარლამენტის სარჩენი სიაში.
- კონფერენციის დელეგატთა ალაგები განაწილებულია მარტებს შორის და მოქმედებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ახსენებში)
- მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

სომხების მიზნები ს გაყო

ამ უკანასკნელ დროს თბილისი სომხეთის დედა ქალაქს უფრო წააგავს, ვიდრე საქართველოსას.

ოსმალთა შემოტევის გამო თბილისში იმართება შრავალ რიცხოვანი მიტინგები, სადაც ხან თბილისის სომხებს მოქალაქეთა, ხან კი პირდაპირ თბილისის მოქალაქეთა სახელით გამოაქვთ პოლიტიკური რეზოლიუციები, რომელთა შესახებ შეიძლება აშკარად იმის თქმა, რომ ისინი საქართველს რესპუბლიკის ოფიციალური ნიტირა ლიტეტის პოლიტიკას ვერ ეთანხმებიან.

ერთ რეზოლიუციაში რუსეთს უცხადებენ ენერგიულ პროტესტს, მეორე რეზოლიუციაში თხოულობენ, რომ საქართველოს მთავრობა დაენშაროს სომხეთს რუსეთთან, ადერბეიჯანთან და ოსმალეთთან ბრძოლაში.

ჩვენ გვგონია, რომ სომხეთის რესპუბლიკის უბედურება სწორედ იმაშია, რომ უმეტესი ნაწილი სომხობისა თვით სომხეთში კი არა თბილისში, თავის სახელმწიფოს საზღვარ გარეშე ცხოვრობს, ხარკავს თავის პოლიტიკურ, ეკონომიურ და ფიზიკურ ძალას და იმის მაგიერ, რომ საკუთარ სახელმწიფოს საზღვარზე ხედვოდეს მტერს, უმთავრესად მხოლოდ საზღვარ გარეშულ სახელმწიფოთა დახმარებაში ეძებს ხსნას.

პრესა.

ბალშევიკები და სამეგრელო

„კომუნისტის“ კორესპონდენტი სწერს სენაკის მაზრის შესახებ შემდეგს:

„პოლიტიკურად მაზრა განიყოფება: 1) მენშევიკები, 2) ფედერალისტები, 3) ნაციონალისტები, 4) ერ. დემოკრატები, 5) ესერები, 6) მათალუ და კომუნისტები (ბალშევიკები). თუ ვინ არიან მენშევიკები—ის ხალხმა კარგად იცის, ფედერალისტები—ეს ხომ იტალიანების პარტიაა და მშრომელი ხალხმა თ ისევე ეკარგებათ, როგორც ებრაელი ღორის ხორცს; ნაციონალისტები და ერ. დემოკრატები ხომ მემამულეების ყოფილი თავადაზნაურების და ჩასუქებულ ბურჟუების პარტიაა და მათთან ხალხს საერთო არაფერი აქვს, მათალუ—ეს სამეგრელოს

ავტონომისტებია და მათი სულისკვეთება და ხალხისა ერთმანეთზე შორსაა.—ესერების მდგომარეობა გამოურყვეველია—საერთო შტაბი ცალიერია. ყველა ზემოხსენებულ პარტიებში თავს იყრის ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი, მემამულეები, ყოფ.—თავად აზნაურები, სპეკულიანტური ვაჭრები, სასულიერო წოდება; ხოლო კომუნისტურ (ბალშევიკურ) პარტიაში კი თავს იყრის—ყველა მშრომელი, ღარიბი-ღატაკი და ჩაგრული, დევნილი და წვალღებული, მზარში კი ასეთები 80 პროც. მეტია და ისინი ირახებიან იმ პარტიის გარშემო, რომლის დროშაზე აწერია „შრომა და თავისუფლება, ძმობა და ერთობა“.

ჩვენ უბრალო ტრახბობად მიგვაჩნია იმის თქმა, თითქოს სენაკის მაზრის 80% ბალშევიკი იყოს.

სამ გრელოს კარგად ახსოვს, რა მოუტანა ხალხს მოჯანყე ბალშევიკების, ერთხელ აყოლა და მეორედ ამ უბედურებას ვინ შეიძლება.

საქართველო და სომხეთი

„ლიახორონის“ ფირმა წინადადებით მიმართა სომხეთის მთავრობას, რათა უკანასკნელმა მისგან შეიძინოს პური არა უმცირეს ორა ათასი ფუთისა.

ფირმა ფუთში თხოულობს სპარსულ თუშან ნახევარს. პურის საერთო ღირებულების ნაწილი გადასდის იქნეს სპარსული ვალიუტით. პურს შეიძენენ მაქუს სახანოში და ჩაშოუნიდან სან. შახტახტში.

ერევნის გაზეთი „ჟოდოვორდი“ იუწყება, რომ სომხეთის მთავრობამ დასტური მისცა ფირმას ხორბლის შექმნაზე.

ამის გამო გაზეთი „Грүзия“ დასძენს: „ამ მოლაპარაკებით ხომ არ აიხსნება ისტორია სომხეთის უარისა საქართველოს პურის გატარებაზე“. სომხეთის მთავრობამ გადასწყვიტა თვითონ შეიძინოს საქართველოსთვის დამზადებული ხორბალი.

საინტერესოა ამ საიდუმლო საქმის ყველა ვარსებობათა გამოკვლევა-

იჯარით გაცემის უფლება ერთმევეთ. გაყიდვის ნება ითვას იმ შემთხვევაში მისცემენ თუ მამულის გაყიდვით აღებული ფულს სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებას მოახმარებენ და ან თუ უმალულო გლეხებს მიჰყდიან.

საფრანგეთი და რუსეთი.

სტამბოლი. 20 სექტემბ. „ორიენტულიუსში“ დაბეჭდილი პარიზელ კორესპონდენტის დეპეშა, რომელიც იუწყება: საფრანგეთის დეპუტატის პალატის საგარეო საქმეთა კომისია ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ რესპუბლიკებს მიმართა მემორანდიუმით აღნიშნონ თავიანთი შეხედულება და დამოკიდებულება ბოლშევიკებთან. ამ სახელმწიფოთა მთავრობებს მიმართეს გაშოსტკვენი თავიანთი აზრი რუსეთის შომავალ ორგანიზაციაზე.

ბალკანეთი და ინგლისი.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი“ მოწინავე წერილში ეხება ლონდონში ტაკე იონესკუს მოსვლას. მისი მოხელის მიზანია ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის შეთანხმების დამყარება. ეს ფაქტი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ინგლისს თითქოს დაეიწყება ის გარემოება, რომ ბულგარეთი ოსმალეთთან და გერმანიასთან კავშირში ანტანტის წინააღმდეგ გამოდიოდეთ.

მცირე ანტანტა.

მცირე ანტანტა რუმინის საგარეო მინისტრმა, რომელიც ამჟამად პარიზი იმყოფება მცირე ანტანტის შესახებ „პტი პარიზინის“ კორესპონდენტს შემდეგი გაუყუცადა: გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, სთქვა იანესკიმ, რომ მიუხედავად ზოგიერთ დაბრკოლებიდან, სულ ახლო მომავალში მთელი ევროპის საერთო-დღევით მცირე ანტანტით შეიქმნება ის უთანხმოებანი, რომელიც პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიის შორის არსებობდა, მოსპო საფრანგეთის ჩარევამ. ხუთმა ქვეყანამ, რომლებიც ხელო უფრო ახლო უნდა დაუკავშირდენ საფრანგეთს, ინგლისს და იტალიას, უნდა შექმნან მშვიდობიანობის საფუძველი, ვინაიდან უნდა აღნიშნოს, რომ მცირე ანტანტას მხოლოდ ერთ-ერთი მიზანი აქვს. მხარი დაუჭიროს პარიზის ხელშეკრულებას. მცირე ანტანტამ, რომელიც ხუთ პატარა სახელმწიფოს შეიცავს ხელს შეუწყობს დიდ სახელმწიფოებს საფრანგეთს, ინგლისს და იტალიას.

დიდი რუსეთში

ვარშავა სექტემბრის 28. პოლონეთის პრესა რუსეთში ტიფის გავრცელების შესახებ იუწყება 1918 წ. ტიფით ავად გახდა 105.000 კაცი. 1919 წელს 21.100.000 და 1920 წლის პირველ ნახევარს 4.000.000.

ბოლშევიკების წინააღმდეგ

ბერლინი სექტემბრის 28. „ვორტერტი“ აქვეყნებს გენერალ გოლოვინის წერილს საზანაოვისადმი. გოლოვინი ჩერჩილს ახახათებს ისეთ პიროვნებათ, რომელსაც სურს ბოლშევიკების საწინააღმდეგო ძალებს აქტიური დახმარება გაუწიოს.

უკანასკნელი ცნობები

სომხური ცნობებით, 7 ოქტომბერს ოსმალეთთან მცირე შეტაკებები მოხდა.

ინგლისის კომისარმა სტოქსმა უარს ს მარე დაათვალიერა.

ბალშევიკების რწმუნებულმა ლეჩანმა უარი სთქვა ერევანში საზავო მოლაპარაკებისათვის წასვლაზე.

კახაზუნის 40 ათასი ტონა პური მიუღია ამერიკაში.

ლენინს მთიელთა რესპუბლიკის ავტონომია უცვია.

ვრანგელს მარიუპოლი იხევ აუღია. ბათუმის ცნობებით ბუდენნოი ბალშევიკებს აუჯანყდა კიევში.

ვრანგელმა წინადადება მისცა ინგლისის პარლამენტს 10.000 ჯარის შელგენის შესახებ ანტიბოლშევიკურ ძალების გაძლიერებლად.

ბრიუსელის კონფერენციაზე

ბრიუსელი. 1 ოქტომბერი. ბრიუსელის ფინანსიურ კონფერენციაზე გამოირკვა რამდენი ვალი ჰქონდა ანტანტს. საფრანგეთმა ომის დროს თავის მოკავშირეებს ასესხა 7.575 მილ. ფრანკი. ამასთან ერთად საფრანგეთმა ისესხა ამერიკიდან 2.985 მილ. დოლარი, ინგლისიდან 514 მილ. სტერლინგი. ამ გვარად საფრანგეთის ვალი უდრის 60 მილიარდ ფრანკს, ინგლისს შპართებს ამერიკის 1.060 მილ. გირანქა სტერლინგი და ამავე დროს ასესხა სხვა სახელმწიფოებს 1.715 მილ. გირანქა. ამერიკამ თავის მოკავშირეებს ასესხა სულ 9.500 მილიონი დოლარი.

კატასტროფა სერბიაში

სტამბოლის „ბოსფორი“-ს ცნობით სერბიაში რკინის გზაზე კატასტროფა მოხდა, რომლის დროსაც დაიღუპენ ოსმალეთის უმდიდრესი სომხები მათუსე და ვრანოსიანი.

საბერძნეთი და ბოლგარეთი

ლონდონი, თიქრობენ ლლოიდ-ჯორჯი ვენიზელოსს დაავალებს გადაწყვიტონ საკითხი ბულგარეთის ეგეის ზღვაზე გამოსვლის შესახებ.

პარიზი. ხალხთა ლიგის აღმასრულებელი კომიტეტის სსდომზე დაადგინეს რომ შესდგეს საგანგებო კომისია ბულგარეთში მყოფ ბერძნების საბერძნეთში გასახვევით და ბულგარეთ მკობრებულების ბულგარეთში. კომისიაში საბერძნეთის წარმომადგენლად დაინიშნა რენტისი.

ბერლინის მუშებში

ნაუნეი ოქტ. 6 ბერლინი ელექტრონის სადგურზე მომუშავე მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა ისინი 6 საათის სამუშაო დღის შემოდგენს მოითხოვეთ. ელექტრონის სადგურების გაფიცვების გამო შეწყდა ტრამვაის მიმოსვლა. მუშების მოთხოვნილება დააკმაყოფილეს.

ავსტრიის საკითხი

ლონდონი. 5 ოქტ. საფრანგეთის საგარეო სამინისტრომ ოფიციალურად განაცხადა: თუ ავსტრიის მცხოვრებლებმა საერთო ხმის მიცემით გამოსტკვეს სურვილი გერმანიასთან შეერთებისა, მაშინ საფრანგეთის მთავრობა ყოველ ზომებს

რუსეთის დეპუტატი

(საქ. დეპ. სააგენტოსი)

საფრანგეთის ფინანსები

ვაშინგტონი. სექტემბრის 28. „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით საფრანგეთმა გვი „ლაფაიტით“ 10 ნახ. მილ. დოლარი გაუზავნა ამერიკის ვაიის გასასტუმრებლად. ამერიკული გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთმა 3 მილ. არღიანი დეფიციტი ძალიან შეამცირა. უკანასკნელს თვის განმავლობაში საფრანგეთის ექსპორტი 200 პროც. გაიზარდა.

საბერძნეთი და ოსმალეთი

ათინა. სექტემბრის 28. გაზეთი „პრთია“ ეხება ოსმალეთის პრესის მიერ აღძრულ საკითხს საბერძნეთ

ოსმალეთის კავშირის შესახებ. ვაშ. სწერს: საბერძნეთის ხალხის სურვალია—ოსმალეთთან დაახლოვება, მაგრამ საქირია ოსმალეთმა თავისი გულწრფელობა საქმით დაატკიცა. ანატოლიის ოსმალეთის მთავრობამ ქემალის წინააღმდეგ აქტიურად უნდა გამოვიდეს ანატოლიის დაცხრომას თვით საბერძნეთი იკისრებს. მხოლოდ აგვარი ურთიერთობაში შეიძლება საბერძნეთ-ოსმალეთის კავშირი.

მიწის კანონი ლიტვაში

ვილნო. სექტემბრის 25. ლიტვის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის ძალით მემამულეთ 70 დესიანტანას მეტი თუ აქვე გაყიდვის ან

